სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 34

2015 წლის 16 მარტი

ქ. თბილისი

"2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წრთვნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 09 მარტის N28 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, მაია ქაჯაიას, სამსახურებრივი ბარათის (N189029. 13.03.2015) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წრთვნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 09 მარტის N28 ბრძანებით დამტკიცებული „2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წრთვნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურებისა და პირობების:

ა) მე-4 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. შესარჩევ ტურებზე არ დაიშვება/მოიხსნება მოსწავლე,რომელიც არ წარმოადგენს ამ დანართის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს, რაიმე

ფორმით ხელს შეუშლის შესარჩევი ტურის ნორმალურად ჩატარებას, შეურაცხყოფას მიაყენებს შესარჩევ ტურში მონაწილე მოსწავლეებს ან სხვა დამსწრე პირებს ან/და დაარღვევს შესარჩევი ტურის ადმინისტრირებისათვის ფონდის მიერ დადგენილ წესებს".

ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ორი ტურისაგან შედგება. შესარჩევ ტურებში მონაწილების მიღება შეუძლიათ მოსწავლეებს, რომლებმაც 2015 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-10 ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი ათი მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე–10, მე-11და მე-12 ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე)";

გ) მე-11 მუხლის მე-3-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, მათემატიკაში მომზადების პირველ ეტაპს დაიწყებს 29 მაისს და დაასრულებს 22 ივნისს, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქ გარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 23 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით.

4. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ფიზიკაში მომზადების პირველ ეტაპს დაიწყებს 29 მაისს და დაასრულებს 22 ივნისს, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 23 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით.

5. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ინფორმატიკაში მომზადების პირველ ეტაპს დაიწყებს 20 ივნისს და დაასრულებს 14 ივლისს, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 16 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით.

6. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ბიოლოგიაში მოსამზადებელ ეტაპს დაიწყებს 15 ივნისს და დაასრულებს 28 ივნისს."

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ .№6).

მარინე ჩიტაშვილი